# ახალი ლ

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმე[რთი]

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო




## [...]ც ვერ აცდა ვნებათა ღელვა[...]

[...]ჩვენით ვცა-
[...] გარკვევა,
[...] მადლიერ
[...]ა:
[...]ანებული
[...]ლესობას
[...] მკაცრი
[...] ტვირ-
[...]მოთ ჩა-
[...]ულ კა-
[...] განაწი-
[...]ლი მო-
[...]ლაც სა-
[...]შეშფო-
[...] შედ-
[...]თგანი

(განსაკუთრებით მანდილოსნები აქტიურობდნენ) თხოვნით ჩვენთან მოვიდა სამართლიანი გულისტკივილი გაზეთის ფურცლებამდე იქნებ მიიტანოთო. ჩვენ მხოლოდ ფაქტების დაფიქსირება და აღწერა შეგვიძლია. ზოგჯერ კი იმის უფლებასაც ვერ ვაძლევთ საკუთარ თავს—რაც დავინახეთ ყველაფერი ხმამაღლა ვთქვათ. რა ვქნათ? ხვალ ყველამ ერთად ამ რაიონში უნდა ვიცხოვროთ.

ისე კი...

ბევრი უმადურობა დავინახე...

ბევრი უსამართლობა...

ბევრი უკადრებელიც.

ზოგჯერ სიმწრის ცრემლიც მომადგა თვალზე სათხოვნელად მოსული შეჭირვებული შინ ცარიელი ჩანთით რომ ბრუნდებოდა შვილთან თუ შვილიშვილთან.

...ბევრმა დაუმსახურებლადაც გაივსო ჩანთა.

...ასეა თუ ისეა—

მადლობის მეტი მაინც რა გვეთქმის.

მარინა სვანიძე

### რაიონის გამგეობის სხდომაზე

# ბიუჯეტი: დამაიმედებელი ციფრების მიუხედავად...

30 ივლისს გაიმართა ცაგერის რაიონის გამგეობის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: რაიონის გამგებელი ბატონი ონერ ნემსიწვერიძე. გამგეობის წევრები, სოფლის საკრებულოთა გამგებლები, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

სხდომის დღის წესრიგში ერთი აქტუალური საკითხი გამოიკვეთა——„ცაგერის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2001 წლის 6 თვის შედეგებისა და ივლისის თვის ამოცანების შესახებ“. აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა გამგეობის ეკონომიკური განყოფილების გამგე ბატონი მამუკა ლეთოდიანი. მოხსენებაში რაიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის მიზნით რაიონის ეკონომიკური მდგომარეობა დარგების მიხედვით იყო განხილული.

მოხსენებიდან: ონერ ნემსიწვერიძე: უბედურება იმაშია, რომ ჩვენი მოსახლეობის ფსიქოლოგია ჯერაც ვერ შეეჩვია გადახდის კულტურას. „მ/წლის 6 თვეში ფინანსთა და შემოსავლების სამინისტროებიდან მიღებული გეგმების გათვალისწინებით საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები განსაზღვრული იყო 277.0 ათ. ლარის ოდენობით. ფაქტობრივად შემოსავლებმა შეადგინა 250.6 ათასი ლარი, რაც 55,6 ათასი ლარით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. გეგმა შესრულებულია 90,5 პროცენტით. მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტის გეგმა შესრულდა 91,1 პროცენტით და შეადგინა 106,0 ათ. ლარი, ხოლო ტერიტორიული ბიუჯეტის გეგმა შესრულდა 90,0 პროცენტით და შეადგინა 144,6 ათ. ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმის შესრულებას დააკლდა 16,0 ათასი ლარი.

საკუთრივ საგადასახადო შემოსავლების გეგმა შეადგენდა 264,4 ათ. ლარს. მობილიზებული იქნა 236,9 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 89,6 პროცენტით. მ/შორის ცენტრალური ბიუჯეტის შესრულებამ შედაგინა 102, 3 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 90,8 პროცენტით, ხოლო ტერიტორიული ბიუჯეტის შესრულებამ შეადგინა 134,6 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 88,6 პროცენტით. საბიუჯეტო შემოსავლებიდან მთლიან მოცულობაში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 94,5 პროცენტს.

საგადასახადო შემოსავლების სახეობების მიხედვით გეგმის შესრულების პროცენტული მაჩვენებლები ასეთია: დღგ გეგმა შესრულდა 98 პროცენტით, საშემოსავლო 105,7 პროცენტით, მიწის გადასახადი 133,2 პროცენტით, მოგება 64 პროცენტით, აქციზი 51,1 პროცენტით, ქონება 64 პროცენტით. შემოსავლების ფაქტიურ მოცულობაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი უჭირავს დღგ-ს, საშემოსავლო, მიწის გადასახადს, გადასახადის ისეთი სახეობები, როგორიცაა აქციზი, მოგება, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი, ქონების გადასახადი და სხვა. უმნიშვნელოა გადასახადები მოსაკრებლებისა და არასაგადასახადო შემოსავლების სახით, რის გამოც ტერიტორიულ ბიუჯეტს სახსრები აკლდება“.

მოხსენების ირგვლივ შემოვიდა შეკითხვები, გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი:

მაღალპროფესიონალური და ჩახედული იყო საგადასახადოს უფროსის ბატონ კარლო კვირიკაშვილის გამოსვლა:

„რაიონის ბიუჯეტის ბედი ძირითადად ბუნებრივ რესურსებზეა დამოკიდებული. რაიონის სახეებზე აღრიცხულია დაახლოებით 600 კუბურ მეტრი წიწვოვანი მასალა და 120 კუბურ მეტრამდე წიფელა. ტყის რესურსების გამოტანა უნდა ემთხვეოდეს ბილეთის საფასურს. საჭიროა სატყეო მეურნეობის მესვეურებმა მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ბიუჯეტის შევსების საკითხს.

არასახარბიელო მდგომარეობაა ღვინის ქარხნებში. მაშინ, როცა ამბროლაურის რაიონში ღვინის ქარხნებიდან სოლიდური თანხები შედის, ჩვენთან მიზერული, თუნდაც 1000 ლარის ამოღებაც კი ვერ შევძელით.

მცირეა სოფლის საკრებულოებიდან მიწის გადასახადზე შემოსული თანხები. ზოგიერთი სოფლის გამგებელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება ამ საკითხს“.

საგადასახადო ინსპექციის უფროსის გამოსვლიდან ისიც შევიტყვეთ, რომ ამ უწყებაში ჩატარებული მნიშვნელოვანი რეფორმის შემდეგ მხოლოდ სა-

(გაგრძელება მე-2 გვ-ზე)

## რეპორტაჟი ლაშიჭალიდან

გვ.4



## ცაგერის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის

# განკარგულება

### ცაგერის რაიონის საკრებულოში მოქალაქეთა წინადადებების, საჩივრებისა და განცხადებების სატელეფონო კავშირით მიღების შესახებ

გასათვალისწინებელია, რომ რაიონში არსებული გარემოებების გამო გაძნელებულია სატრანსპორტო მუშაობა. რაიცენტრს დაშორებული სოფლებიდან მოქალაქეებს უჭირთ გამგეობასა და საკრებულოში მიღებაზე გამოცხადება. [...]დემოკრატიული პროცესების [...]ღრმავების, არსებულ სი[ტ]უაციაში მოქალაქეთა თხოვ[ნე]ბისა და წინადადებების [...]ეთ გათვალისწინების, შე[საძ]ლებლობისდა მიხედვით [...]ი გადაწყვეტის მიზნით და [საქა]რთველოს პრეზიდენტის [200]1 წლის 15 მარტის [განკარგ]ულების „ანტიკორუფ[ციული] პროგრამის პირველი [ეტაპის] განსახორციელებელ [ღონისძ]იებათა შესახებ“ [...]ნათა შესაბამისად:

[...]რის ყოველი სამ[...] 10 საათიდან 14 საა[თამდე] [...]ამოცხადდეს საკ[რებულოს] [...] ხელმძღვანელ მუ[...] [...] თავისუფალი სატელეფონო განცხადება. საკითხი, რომელიც ვერ გაირკვევა სატელეფონო საუბრისას აყვანილი იქნეს კონტროლზე და ადრესატს მიეწოდოს ოფიციალურად წერილობით.

——დაევალოს რაიონში განლაგებულ ყველა ორგანოსა და ორგანიზაციას, მოქალაქეთა სატელეფონო განცხადებები, რომელიც გადაეგზავნება მათ, განიხილონ კანონმდებლობით დადგენილი დროითა და წესით. პასუხები მიაწოდონ რაიონული საკრებულოს სამდივნოს.

——თემთა საკრებულოების თავმჯდომარეებმა სხვადასხვა სახით აღნიშნული განკარგულების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდონ მოსახლეობას.

——აღნიშნული განკარგულება გამოიკრას თემთა საკრებულოს შენობებსა და კავშირგაბმულობის განყოფილებებში თვალსაჩინო ადგილას.

——განკარგულება გამოქვეყნდეს გაზეთ „ახალ ლეჩხუმში“.

——განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საკრებულოს მდივანს ბატონ დ. სვანიძეს და აპარატის ხელმძღვანელს ბატონ ნუგზარ ტვილდიანს.

——განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ზ. ხეცურიანი

ცაგერის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე



22 -28 ივლისს [...] ტრენინგ-სემ[ი]ნ[ა]რის დღედ.

ბენჭი დაუკავ[...]

„მზე ამოვიდა... მზეტელეფომაბრუა... მზეს შევეფეთ[...]ულოს მზის იმედი მაქვს... მზით გა[...] საკ[...]თამამდი“—ოთარ ჭილაძის ე[...]3-58, სტრიქონები განწყობისათვის... [...]ათა

თეთი, ქათქათა ბათუმი სტუმართა ნაკლებობას არასოდეს განიცდის. საქართველოს ოაზისი კი 22 ივლისიდან სრულიად საქართველოს ყველა რეგიონის ჟურნალისტს მასპინძლობდა, და მაინც რას აკეთებდნენ „საქართველოს ჟურნალისტთა ნაკრები“ ბათუმში?

[...]ა- [...]ნი [...]ტებ [...] მატე [...] რედა[...] დაძე, [...] მგებელ[...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გიხსენიებდენ ძლევამოსილ...

(დასასრული)

ურობდნენ მთავარეპისკოპოსი ელისე, პრეზიდენტის რწმუნებული მხარეში ირაკლი ფრუიძე, რწმუნებულის მოადგილე დავით დარახველიძე. ცაგერში, ჩვენი სიამაყის––ლადო ასათიანის სახელობის ბაღში სტუმარ-მასპინძელნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მუსიკალური თუ მხატვრული კომპოზიციების შესრულებაში. დღესასწაულზე და საერთოდ ხვამლის––„მეფეთა საგანძურთ სანახზე" საინტერესოდ ისაუბრა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა, ბატონმა ომარ ჭაბუკიანმა.

### „მეფეთ საგანძურთ სანახზე"

შემდეგ კი ჯგუფ-ჯგუფად გავუდექით იმ გზას, რომელიც ტაძართან მიგვიყვანდა". დამეთანხმებით, ოდითგან ცნობილი „მტრისაგან შეუვალ" ხვამლის მთაზე ასვლა არც ისე იოლია, მაგრამ ღვთისშეწევნით ჩვენში ღრმად აქვს ფესვები გადგმული რწმენას, სარწმუნოებას, „ღვთისმოშიშობას", სიყვარულს. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა, დაუღალავად, „წინაპართ მსგავსად" ზღვის დონიდან 2002 მეტრის სიმაღლეზე გარკვეული მანძილი (და ეს არც ისე ცოტა იყო) ფეხით გაგვევლო. ჩვენი ჯგუფი ახალგაზრდული საქმეთა დეპარტამენტის თაოსნობითა და ორგანიზებით გავუდექით გზას. დავით ულუსა და დავით ნარინის მიერ დალაშქრულ გზებს მივუყვებოდით, რაც სტიმულს გვაძლევდა თითოეულ ჩვენგანს. გზად მომავალნი კი ერთმანეთს ქართველ კლასიკოსთა ლექსებით ვეპაექრებოდით. ჩვენი შემხვედრები კი „ფაფარაყრილ რაშებზე" ამხედრებული მხედრები იყვნენ, რომელნიც ალიონს ხვამლის მთაზე შეხვდნენ. ნაცნობი თუ უც... ნობი ერთმანეთს გამარჯვებ... ღვთისწყალობას, სითბოს და ს... ვარულს უსურვებდნენ. სა... რია, ამ ადგილებში წელიწ...

...ნზე

# ...ბელი ...ვად...

ყველ... მიუ... მიწ... ლ... მე... რ... ...ავრებული, ისე საქმე წინ ...წავა.

...ქ ითქვა და მეც მინდა გა...ეორო: თუ სატყეო მეურ...ბის მესვეურები მუშაობის ...ილს არ შეცვლიან და ამ ...მპით იმუშავებენ, ჩვენ ...უჯეტო პარამეტრებს ვერ ...სრულებთ. ამისათვის კი ...ლა ერთად უნდა დავდგეთ. ...ე ახლახანს, ჩემი პასუხის...ებლობის ქვეშ, აღვადგინეთ ...ფიტრის გასაშვები პუნქტი, სა...ც სამართალდამცავებთან ერთად საგადასახადოს მუშაკებიც არიან. ეს მექანიზმიც გარკვეულ შედეგებს მოიტანს.

ცუდად მიდის რაიონში საალმსრულებლო საქმიანობა. აქ ბევრი რამ დასახვეწია.

რაიონის გამგებელმა სასიხარულო ინფორმაციაც მოგვაწოდა სხდომის მონაწილეებს––გაგრძელდება მას...



...წავლებელთა ხელფასების დავალიანების გასტუმრება, ხოლო პენსიები ბოლო კვარტალისთვისაა განსაზღვრული. იმედიც მოგვცა, რომ რაიონის მოსახლეობას სულ მალე უკეთესი ეკონომიკური საშუალებები გაუჩნდება.

გამგეობის სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც: „რაიონის 2002 წლის რაიონული ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების შესახებ", „მალარიის გადამტანი კოღოს, ქინქლას, ბორასა და სხვა საშიში მწერების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების შესახებ", „ცაგერის რაიონის ტერიტორიაზე საშიში ქიმიური ნივთიერებების წარმოების, გამოყენების და ექსპორტ-იმპორტის აკრძალვის ღონისძიებათა შესახებ", „ახალგაზრდობის სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფციის დამტკიცების შესახებ."

ამით გამგეობის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

მარინა სვანიძე

## მეგობრის ხსოვნას

# ლუჩხუ...

ორი წლის წინ, 1999 წლის 13 ივნისს, სოფელი მახაშს, მშობლიურ მიწას მიაბარეს ღირსეული მამულიშვილი. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ბენამინ გიორგის ძე სილაგაძე.

ამ უაღრესად მოკრძალებულმა განათლებულმა პიროვნებამ სახელოვანი გზა განვლო. დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ფაშისტურ ურდოებს ებრძოდა. ბერლინის შტურმით აღებაში მონაწილეობდა. 1946 წელს, 20 საბრძოლო ორდენით და მედლით მკერდდამშვენებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაერიცხა. პირველი კურსიდანვე ხუთოსანმა, უნივერსიტეტი 1951... წარჩინებით დაამთავრა ...ტოვებული იქნა ახლო ა... ლეთის ისტორიის კათ... 1962 წლიდან ბენიამინმა ... გააგრძელა ივანე ჯავახ... სახელობის ისტორიისა ... ნოგრაფიის ინსტიტუტ... როთმცოდნეობის განყო... წამყვან მეცნიერ თანამშ... 1967 წელს დაიცვა ს... ტო და 1973 წელს სა... დისერტაცია.

ბატონი ბენიამინი წ...ევრს, მავლობაში გულმოდ ცაგევლევდა ქართველი მკარლო ქართველი ქულემენებ... ას. ირანის, ერაყის, ...! ახლო აღმოსავლეთლო საქმენების სამეცნიერო...

...ის ...ვი... ...გა... ...ელი ...ხით ...აქვე ...ხალგაზ...ლო ჩარე...ით, ბატონი ...შეწყობით, ...ოს ტექნი...ტის მოსამ...ვილება. წლე... გამოცდებიც ...და.

...თელ...ეთ რა ფორ...თელ...ა ამ უდიდესი ...ქოვ...რძნობა—ჩვენი ...რძა...ე უპრობლემოდ ...შე...ენტები. თქვენ ...რდ, სხვებისაგან გა...ლი უპრეტენზიობითა თავმდაბლობით ემ...ურებით ჩვენი შვილების ...ალინდელ დღეს, ლეჩხუმის ...კეთეს მომავალს.

ბატონო კარლო!

ძვირი, ძალიან ძვირი ღირს დღეს მსგავსი ქველმოქმედება...

ჩვენ რა შეგვიძლია?!

მხოლოდ უდიდესი მადლიერების გრძნობა გვინდა სანცვლოდ შემოგაგებოთ. მუდამ თქვენს გვერდით გვიგულეთ.

სტუ-ს სტუდენტთა მშობლები"

რედაქცია თავის მხრივ, გულწრფელად უერთდება მშობელთა განწყობას.

მარინა სვანიძე

# ფოსტა

## კეთილმა ადამ... გადაარჩი...

დიაბეტით დაავადებული მოხუცი ბაზარში აუცილებელი პროდუქტების შესაძენად გახლდათ. უცებ თავბრუ დამეხვა, ცუდად გავხდი და გონება დავკარგე.

კეთილი ადამიანებს რა გამოლევს. ქალბატონ ნონა ბენდელიანს, ვის კომერციულთანაც დავცემულვარ, ხმა...ური აუტეხავს, საშველად გერონ... კალანდაძე მოსულა და მანქანი... მივუყვანივარ. მეზობლებიც შე... ჩემს გადასარჩენად და სასწ... საავადმყოფოში გადამიყვანე...

რე...

რედაქტორი
თამარ
დავითულიან...

...თავ... ...მაც ...რეთ, ...ულმა ...კისაგან ...ა მივი...მში" გა...ეი, რო...

# რეგიონული პრესის სემინარი ბათუმში

(დასასრული)

კირვალიძე, საქართველოს პარლამენტის წამყვანი სპეციალისტი, „თვითმმართველობის განვითარების ცენტრის" დირექტორი ნინო რომაშვილი, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი თენგიზ შერგელაშვილი––და სხვა წარმომადგენლები. ტრენინგ-სემინარის ორგანიზატორები კი გახდნენ ლევან ვეფხვაძე და ბადრი კოპლატაძე.

სემინარის სამუშაო გეგმა ითვალისწინებდა თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს. ჟურნალისტის ეთიკის ნორმებზე, უფლებამოსილებაზე, „მედია და არჩევნები", „ადგილობრივი ხელისუფლების ეკონომიკური უფლებამოსილებანი" და კიდევ ბევრ საინტერესო საკითხებზე ისაუბრეს მოწვეულმა ექსპერტებმა. რაც შეეხება პრაქტიკულად მუშაობას––სემინარის მონაწილეებმა აჭარის ერთი თვალის გადავლებით, მართლაცდა თითზე ჩამოსათვლელ საათებში მოვამზადეთ გაზეთი „რეგიონი P.S.", სადაც აისახა აჭარის სოციაურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ პრაქტიკული მეცადინეობა, გაზეთის მაკეტირება-დაკაბადონება მიმდინარეობდა დამოუკიდებელი გაზეთის „აჭარა P.S."-ის ბაზაზე. მართალია, ამ პროექტის საწყის ეტაპზე მონაწილეები ერთმანეთს არ ვიცნობდით, ვფიქრობდით, ხელი შეგვეშლებოდა მასალების მოძიება-მოპოვებაში, მაგრამ ღვთისშეწევნით, როცა ნომერი უკვე მზად იყო, მოსაზრება ზოგადად რეგიონალური პრესის სათანადო დონის არქონის შესახებ უარყოფილ იქნა.

„ფრთები, ფრთები გვინდა", რომ ჟურნალისტმა თავისუფლება, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა შეინარჩუნოს".

მიმიხვდით ალბათ, გალაკტიონისეულ „ფრთებში" იმ წუთში გაზეთის ფინანსური მხარდაჭერა ვიგულისხმე, რომლის უქონლობასაც კატასროფულად განიცდის განსაკუთრებით რეგიონალური პრესა, მაგრამ რა თავისუფლებაზე, მიუკერძოებლობაზე სამართლიანობაზეა საუბარი, როცა დემოკრატიულ „სტაბილურ" ქვეყანაში ყველაზე სამართლიან, ობიექტურ პროფესიონალს ტყვიით უსწორდებიან... ბუნებრივია, გამიჩნდა კითხვა: „რა აზრი აქვს ამ სემინარს, თუ ჟურნალისტმა სამართლიანად, თავისუფლად არ იაზროვნა?!"

გიორგი სანაია მკვლელობიდან სამი დღის წინ სემინარის ორგანიზატორებთან, კოლეგებთან (რომლებიც მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ) ერთად სასტუმრო „თანამგზავრში" ისვენებდა... ორშაბათს კი იგი „ღამის კურიერის" ეთერისათვის თბილისში გაემგზავრა... დაუბარა მეგობრებს: შაბათს ისევ ჩამოვალო... „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოვ"...

26 ივლისს გიორგი სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებით სემინარის მონაწილეებმა მუშაობა შევწყვიტეთ,––სამძიმარი გამოუცხადეთ ოჯახს, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ს, ყველა ჟურნალისტს. ამის შემდეგ კი მოეწყო საპროტესტო აქცია ქვეყანაში გამეფებული ძალადობის წინააღმდეგ.

ტკივილიანი ეპილოგი ტრენინგ-სემინარისა... მაგრამ გიორგი სანაია მის კოლეგებს, მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს, ის ისევ გამოფხიზლებისაკენ მოგვიწოდებს... მისი საქმისადმი თავდადება მხოლოდ და მხოლოდ მებრძოლ სულს აძლიერებს ჩვენში.

ეკა ბენდელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰუმანიტარული აქცია, რომელიც ვერ აცდა ვნებათა ღელვას

მიმდინარე წლის ივლისის თვეში რაიონს „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ დელეგაცია ეწვია. დელეგაციას ამ საზოგადოების თავმჯდომარის (ქალბატონი ნანული შევარდნაძე) მოადგილე ქალბატონი მაია კვეზერელი ხელმძღვანელობდა.

დელეგაციის მიზანი წმინდა წყლის ჰუმანიტარული გახლდათ—მეორადი ტანსაცმლითა და საკვები პროდუქტებით დახმარება გაეწია ჩვენი შეჭირვებული მოსახლეობისათვის. (მარტოხელა დედები, ბავშვები, მრავალშვილიანი დედები 16 ლ, საცხ. სახლი ვისაც დაეწვა, ახალშობილნი). ჰუმანიტარული ტვირთი, კოპწია ჩანთებში ჩალაგებული, 300 ასეთ პერსონაზე იყო გათვლილი.

ვნებათა ღელვა არ წყდებოდა იმ სამი დღის მანძილზე სამხატვრო გალერეის შენობასთან—სწორედ აქ მიმდინარეობდა აღნიშნული ტვირთის გაცემა. ქალბატონი მაია მოუცლელობის გამო ჩვენთან ინტერვიუს არ დათანხმდა და ისევ ჩვენით ვცადეთ სიტუაციებში გარკვევა, აღელვებულ თუ მადლიერ ხალხთან გასაუბრება:

იმ დღეს იქ მობრძანებული მოსახლეობის უმრავლესობას არ სურდა გაეგო მკაცრი მოთხოვნა იმისა, რომ ტვირთი აუცილებლად ზემოთ ჩამოთვლილ განსაზღვრულ კატეგორიაზე უნდა განაწილებულიყო, ნაწილი მოსახლეობისა კი მართლაც სამართლიანად იყო შეშფოთებული სიის არასწორი შედგენის გამო. ბევრი მათგანი (განსაკუთრებით მანდილოსნები აქტიურობდნენ) თხოვნით ჩვენთან მოვიდა სამართლიანი გულისტკივილი გაზეთის ფურცლებამდე იქნებ მიიტანოთო. ჩვენ მხოლოდ ფაქტების დაფიქსირება და აღწერა შეგვიძლია. ზოგჯერ კი იმის უფლებასაც ვერ ვაძლევთ საკუთარ თავს—რაც დავინახეთ ყველაფერი ხმამაღლა ვთქვათ. რა ვქნათ? ხვალ ყველამ ერთად ამ რაიონში უნდა ვიცხოვროთ.

ისე კი...

ბევრი უმადურობა დავინახე...

ბევრი უსამართლობა...

ბევრი უკადრებელიც.

ზოგჯერ სიმწრის ცრემლიც მომადგა თვალზე სათხოვნელად მოსული შეჭირვებული შინ ცარიელი ჩანთით რომ ბრუნდებოდა შვილთან თუ შვილიშვილთან.

...ბევრმა დაუმსახურებლადაც გაივსო ჩანთა.

...ასეა თუ ისეა—

მადლობის მეტი მაინც რა გვეთქმის.

მარინა სვანიძე

## ცაგერის რაიონის საკრებულო
# გადაწყვეტილება №5

11.05.2001 წ.

### რაიონის ზოგიერთ სოფელში ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე საფერშლო პუნქტების აღდგენის შესახებ

ცაგერის რაიონის საკრებულო აღნიშნავს, რომ მიუხედავად ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებისა, სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ჯერ კიდევ სათანადო დონეზე ვერ დგას სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. ბიუჯეტის დეფიციტურობამ ბევრად განაპირობა, რომ რაიონში ფაქტიურად შეჩერდა 32 საფერშლო პუნქტის მუშაობა. ამ დროს სამედიცინო დაწესებულებებს ტერიტორიულად მოშორებული სოფლის მოსახლეობას არ გააჩნია პირველადი სამედიცინო მომსახურების მიღების საშუალება. ხოლო საექიმო ბრიგადები რაიონის რელიეფურ-გეოგრაფიული მდგომარეობის, უტრანსპორტობისა და კავშირგაბმულობის საშუალებების გაუმართავი მუშაობის გამო მოკლებული არიან საშუალებას ოპერატიულად გამოეხმაურონ ავადმყოფის მოთხოვნას. აღნიშნული გაითვალისწინა რაიონული საკრებულოს სხდომამ და რაიონულ ბიუჯეტში შესაბამისად ჩასმული იქნა გარკვეული ფინანსური უზრუნველყოფა, რათა აღდგენილიყო რაიონულ ცენტრსა და სამედიცინო დაწესებულებების, განსაკუთრებით მოშორებულ ზოგიერთ სოფელში, საფერშლო პუნქტების ფუნქციონირება.

აქედან გამომდინარე საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

1. „ცაგერის რაიონის 2001 წლის რაიონული ბიუჯეტის შესახებ“ ცაგერის რაიონის საკრებულოს 2001 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად 2001 წლის 1 ივნისიდან შპს „ცაგერის რაიონულ პოლიკლინიკასა“ და შპს „ლაჯანის საავადმყოფოს“ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიეცეთ შესაბამისი დაფინანსება, რათა „რაიონული პოლიკლინიკის“ სამოქმედო ზონის სოფელში, ასევე შპს „ლაჯანის საავადმყოფოს“ სამოქმედო ზონის 6 სოფელში ამოქმედდეს, საფერშლო. პუნქტები.

2. მოსახლეობის რაოდენობიდან, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიდან, სამედიცინო დაწესებულებებზე დაშორებიდან გამომდინარე, საფერშლო პუნქტები გაიხსნას შპს ლაჯანის საავადმყოფოს“ სამოქმედო შემდეგ სოფლებში:

ნაკურალეში--1 ერთეული—მომსახურების ზონა სოფლები: ნაკურალეში-ცხუკუშერი;

ნასპერი—1 ერთეული—მომსახურების ზონა სოფლები: ნასპერი, სანორჩი;

ზოგიში—1 ერთეული—მომსახურების ზონა სოფლები: ზოგიში-ცაგერა;

ორხვი—1 ერთეული--მომსახურების ზონა სოფელი: ორხვი;

საირმე—1 ერთეული—მომსახურების ზონა სოფლები: ქვედა და ზედა საირმე;

სურმუში—1 ერთეული—მომსახურების ზონა სოფელი: სურმუში;

შპს „ცაგერის რაიპოლიკლინიკის“ სამოქმედო ზონაში:

ოფიტარა—0,5 ერთეული—სამოქმედო ზონა: სოფელი: ფიტარა;

ისუნდერი—1 ერთეული—მომსახურების ზონა სოფლები: ისუნდერი, მახურა;

ზედა ლუხვანი—1 ერთეული—სამოქმედო ზონა სოფლები: ზედა დუხვანო;

ზარაგულა--0,5 ერთეული—სამოქმედო ზონა სოფელი: ზარაგულა;

ჩქუმი—1 ერთეული—სამოქმედო ზონა სოფელი: ჩქუმი-ქულბაქი

დეხვირი—1 ერთეული— სამოქმედო ზონა სოფლები: დეხვირი-ლესინდი.

მახაში—1 ერთეული (0,5-0,5)—სამოქმედო ზონა სოფელი: მახაში.

ცნობად იქნეს მიღებული, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის ხაზით, რაიონის ყოველ საკრებულოში მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, შესაბამისი პროგრამით ფინანსდება ერთი ამბულატორია ექიმისა და ექთნის საშტატო ერთეულებით შესაბამისი ბრიგადის სახით. (სულ 11 ბრიგადა)

4. დამტკიცდეს საფინანსო განყოფილების მიერ წარმოდგენილი საფერშლო პუნქტებზე გასაწევი ხარჯების ნუსხა (თან ერთვის)

5. დაევალოს შპს „რაიონული პოლიკლინიკისა“ და შპს „ლაჯანის საავადმყოფოს“ ხელმძღვანელებს (კ. ხვადაგიანი, ზ. ახვლედიანი), თემის საკრებულოებთან შეთანხმებით მოახდინონ ზემოთ დასახელებულ სოფლებში შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების საშუალო მედპერსონალის კადრების შერჩევა და მათი სამუშაოზე აყვანა საკონტრაქტო-სახელშეკრულებო პირობებით;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს რაიონული საკრებულოს სოციალურ-საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ბატონ: ა. პირველს და რაიონული გამგეობის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელს ბატონ ბ. კოპალიანს.

ზ. ხეცურიანი

ცაგერის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე

## ცაგერის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის
# განკარგულება

### ცაგერის რაიონის საკრებულოში მოქალაქეთა წინადადებების, საჩივრებისა და განცხადებების სატელეფონო კავშირით მიღების შესახებ

გასათვალისწინებელია, რომ რაიონში არსებული გარემოებების გამო გაძნელებულია სატრანსპორტო მუშაობა. რაიცენტრს დაშორებული სოფლებიდან მოქალაქეებს უჭირთ გამგეობასა და საკრებულოში მიღებაზე გამოცხადება. დემოკრატიული პროცესების გაღრმავების, არსებულ სიტუაციაში მოქალაქეთა თხოვნებისა და წინადადებების უკეთ გათვალისწინების, შესაძლებლობისდა მიხედვით მათი გადაწყვეტის მიზნით და საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 მარტის ბრძანებულების „ანტიკორუფციული პროგრამის პირველი რიგის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად:

--კვრის ყოველი სამშაბათი 10 საათიდან 14 საათამდე გამოცხადდეს საკრებულოს ხელმძღვანელ მუშაკებთან თავისუფალი სატელეფონო კავშირის დღედ.

--მოქალაქეები დაუკავშირდენ შემდეგ ტელეფონებზე. საკრებულოს თავმჯდომარეს 20-25, საკრებულოს მდივანს 23-58, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეებს 24-57.

--აპარატმა (ნ. ტვილდიანი) გადაწყვიტოს საკრებულოში დასახელებული სატელეფონო ნომრების შეუფერხებელი მუშაობა.

--ყველა სატელეფონო ზარი აღირიცხოს, ჩაითვალოს ის, როგორც ოფიციალური განცხადება. საკითხი, რომელიც ვერ გაირკვევა სატელეფონო საუბრისას აყვანილი იქნეს კონტროლზე და ადრესატს მიეწოდოს ოფიციალურად წერილობით.

--დაევალოს რაიონში განლაგებულ ყველა ორგანოსა და ორგანიზაციას, მოქალაქეთა სატელეფონო განცხადებები, რომელიც გადაეგზავნება მათ, განიხილონ კანონმდებლობით დადგენილი დროითა და წესით. პასუხები მიაწოდონ რაიონული საკრებულოს სამდივნოს.

--თემთა საკრებულოების თავმჯდომარეებმა სხვადასხვა სახით აღნიშნული განკარგულების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდონ მოსახლეობას.

--აღნიშნული განკარგულება გამოიკრას თემთა საკრებულოს შენობებსა და კავშირგაბმულობის განყოფილებებში თვალსაჩინო ადგილას.

--განკარგულება გამოქვეყნდეს გაზეთ „ახალ ლეჩხუმში“.

--განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საკრებულოს მდივანს ბატონ დ. სვანიძეს და აპარატის ხელმძღვანელს ბატონ ნუგზარ ტვილდიანს.

--განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ზ. ხეცურიანი

ცაგერის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეპორტაჟი ლაშიჭალიდან

ერთხელ კიდევ დაფიქსირდა ძულურის წყლის აპრობაცია-გამოკვლევის შედეგები. სპეციალისტთა დასკვნით, ეს გახლავთ ფართო სპექტრის სამკურნალო წყალი დაბალი მინერალიზაციით და ძირითადად პროფილდება შაქრიან დიაბეტზე. ძულურს ანალოგი თითქმის არ მოეძებნება მსოფლიოში და დებეტზეც დადებითი ჩვენება აქვს.

ეს ისე ცნობისათვის, სინანულისთვის, რომ ერთხელ კიდევ გავისიგრძეგანოთ რა სიმდიდრის, რა საოცრების პატრონნი ვართ; რომ ამ რეპორტაჟებს სწორედ ძულურით უნდა ვიწყებდეთ, მაგრამ, სავალალოდ, დღეს იქ მკურნალობისა და დასვენების არანაირი პირობა არ არსებობს...

ლაშიჭალა და ძულური ერთ კომპლექსშია და ეკუთვნის რესპუბლიკურ სააქციო საზოგადოებას „ჯანმრთელობა“. დღეს მოქმედი კურორტი ლაშიჭალაა და სეზონის დაწყებიდანვე მთელს რედაქციას გვაწვალებდა სურვილი მოგვენახულებინა, შევხმიანებოდით დამსვენებლებს, დაგვეფიქსირებინა კურორტის ხელმძღვანელთა სამომავლო გეგმები და საფიქრალი.

სეზონის პიკი უდგას ახლა ლაშიჭალას, სულის შემხუთველი თაკარა დღეა. დამსვენებლები––დიდი თუ პატარა წყაროებთან იჩრდილებენ. ეს „კუჭის წყალიო“, ეს „თირკმელისო“, ეს „ღვიძლისო“ (მარტივად ასე ეძახიან)–ყველგან რიგი დგას. განსაკუთრებით ეტანებიან კურორტის ზევით ასწლოვანი წიფლის ტყეში მორაკრაკე ორ მინერალურ წყაროს. აქ ვერც კი იგრძნობ ზაფხულის მცხუნვარებას. მალი-მალ ივსება დიდ-პატარა ჭურჭელი, ჩინჩხლებს ყრის ცივი და ანკარა სამკურნალო წყალი, რომელიც მიაქვთ დღისით და ღამით, მიაქვთ სადაც უნდათ, რამდენიც უნდათ.

თითქოს წყარომ ამოისუნთქაო, არავინ ავსებს ჭურჭელს წამიერად. ილვრება წყალი, ძირს ილვრება... დაუშვებს ნებისმიერი ნორმალური ქვეყანა მსგავსი წყლის ერთი წვეთის დაკარგვას?––გვიჩნდება იდუმალი ფიქრი.

შევხდვით და ვესაუბრეთ კურორტის მთავარ ექიმს მერაბ ბურჯალიანს. ახალგაზრდა კაცია, კარგი პროფესიონალი, კურორტის ხვალინდელი დღით დაინერესებული.

რაც ზემოთხსენებულ საზოგადოებას გადაეცა კურორტი, გვიყვება მერაბი, შევძელით დაგვეცვა და აღგვედგინა იგი. შერემონტდა ამორტიზებული, ზოგით თითქმის განადგურებული კოტეჯი. დამყარდა აბსოლუტური წესრიგი და სიმშვიდე.

დღეს თავად კურორტსა და მის გარეთ (მოსახლეობაში) 200-ზე მეტი დამსვენებელი მკურნალობს. საწოლდღეების ფასი დიფერენცირებულია. ლუქსის დონის კოტეჯში ერთი საწოლდღის ფასი 6 ლარია, არის 4-3 ლარიანი კოტეჯებიც. კურორტის ხელმძღვანელთა და დამსვენებელთა აზრითაც ეს ფასები ხელმისაწვდომია.

მკურნალობა მიდის ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ. გავიცანით კურორტის ახალგაზრდა ექიმი ნონა მელქაძე. ექიმთა გულისხმიერებაზე, პროფესიონალიზმზე არა ერთი დამსვენებლის საქებარი სიტყვა და სამადლობელი მოვისმინეთ. აქვე მოქმედებს ანალიზური ლაბორატორია, კეთდება აბაზანები, მასაჟები, ნაწლავური გამორეცხვები.

ჰყავთ 10-15-18 წლის სტაჟიანი დამსვენებლები. ამას აღარ სჭირდება გაშიფვრა–– ლაშიჭალის სასწაულმოქმედი წყლები პლუს კარგი სამედიცინო მომსახურება. დამსვენებლთა კონტინგენტის გეოგრაფიულობითაც დავინტერესდით: მეტწილად მეზობელ ქალაქ-რაიონებიდან ჩამოსულნი დომინირებენ გასაგები მიზეზების გამო.

კურორტს ემსახურება სასადილო, მიკრობაზარი, კომერციული მაღაზიები, ცხვება პური, ფასებიც ხელმისაწვდომია. ამ სტრუქტურებსაც კურირებს კურორტის ხელმძღვანელობა.

შევეცადეთ კურორტის პრობლემებშიც ჩაგვეხედა, უბრალოდ გული მწყდება, გულახდილად გვესაუბრება მერაბი, ასეთი უნიკალური წყლებით განთქმული ლაშიჭალა უფრო უკეთ უნდა გამოიყურებოდესო. საბჭოურ დროში იყო ამის საშუალება. დღეს რალა შეგვიძლია, აქ რომ ინვესტორი მოვიდეს, მისთვის გზა იქნება №1 პრობლემა, გზა––ქუთაისიდან ლაშიჭალამდე. საწყის ეტაპზე ამას ალბათ სულ ცოტა 150000 დოლარი მაინც დასჭირდება. ინვესტორი ბრმად არაფერში ჩადებს ფულს. ახლა წყლის დებეტი, რომელსაც ახალი აპრობაცია დასჭირდება. ეს ყველაფერი შორეული ლამაზი ოცნებაა. ამიტომ რაც დღეს შეგვიძლია რეალურად, იმაზე ვფიქრობთ. დიდი სურვილი გვაქვს წყლის ჩამოსხმის მცირე საწარმოს შექმნის, ჩვენ იმდენად გვიჭირს ამ ეტაპზე ფინანსურად, ძალიან პრეტენზიულად თუ არ გამომივა ნათქვამი, იქნება შესაბამისმა სტრუქტურებმა და რაიონის ხელმძღვანელობამ შეგვიწყონ ხელი, შეგვიმსუბუქონ გადასახადები, ვიდრე ფეხს მოვიკიდებთ, ვიდრე ელემენტარულად სულს მოვითქვამთ.

კურორტის განკარგულებაში 6 ჰექტარი მიწის ფართობია, შესაბამისად იხდიან მიწისა და აგრეთვე ქონების გადასახადს. როგორც წესი, კურორტიდან 500 მეტრის რადიუსში დაცული უნდა იყოს ყველა სანიტარული ნორმა და წესი. (ამჯერად ეს ასე არ ხდება––კურორტის ტერიტორიაზე შეჭრილია მოსახლეობა, აქვთ ნაკვეთები, სადგომები...). თუკი კურორტს ექნება პასპორტი, მთელი მისი ტერიტორია შეიძლება გამოცხადდეს ნაკრძალ ტყე-პარკად. ამით მძიმე გადასახადებსაც ეშველება და, რაც მთავარია, დაცული იქნება საკურორტო ტერიტორია. ამ პრობლემის დარეგულირება, გვესმის, მთავრობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს პრეროგატივაა, მაგრამ ერთიც ვნახოთ და უბრალოდ დაუფიქრებელი ხელოვნური შემოქმედებით რომელიმე წყარო დაიკარგოს. ყველაზე დიდი პრობლემა გზა არის––მონაკვეთი ორბელიდან ლაშიჭალამდე. ჩამომდინარე, თითქოს უწყინარი ღელეები ყოველი გაავდრებისას ქვითა და ლორლით, ავსებენ გზას, რომელიც დროდადრო იწმინდება. კარგია, რომ დადის ყველანაირი ტრანსპორტი, დადის ავტობუსი ქუთაისი–ლაშიჭალა. ჩვენის აზრით, უდიდესი სიკეთე იქნებოდა ხალხისთვის და ვფიქრობთ, არცთუ წამგებიანი, დანიშნულიყო მარშრუტი ცაგერი-ლაშიჭალა.

ყველაზე გულსატკენი ის არის, რომ კურორტთან არ არის სატელეფონო კავშირი. მისი აღდგენისათვის საჭიროა 8-9 კილომეტრის სიგრძის სადენი. კავშირი აუცილებლად უნდა აღდგეს, მით უფრო, რომ კურორტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე იქ არც მობილური სატელეფონო კავშირის დამყარება შეიძლება.

რაც შეეხება ჩვეულებრივ სველ წერტილებს კოტეჯებში, არის, შუქიც მუდმივადაა და დამსვენებლებიც კმაყოფილი არიან.

**გადახვევა:**

იმ საღამოს დამსვენებლები ქუთაისელ პოეტს გიზო თავაძეს ხვდებოდნენ. მისი ნოველების წიგნიც ჩავათვალიერეთ. დროის დეფიციტის გამო ამ შეხვედრის მოწმენი ვერ გავხდებოდით და მანამდე გავესაუბრეთ როგორც დამსვენებელს:

მუდმივი დამსვენებელი ვარო ლაშიჭალის, მარტო ამ სასწაულმოქმედი წყლების გამო კი არა, ამ მთების, ამ სანახების, ამ კეთილი მასპინძლების გამოო. დავხეტიალებ, ვთევზაობ, ვნადირობ და რომ აქ სხვა სილამაზეა, სხვა სიწმინდე––ნაღდი და თავისთავადიო.

...რომანტიკა ალბათ იმ შემოქმედებით––ლიტერატურულ საღამოზე გაგრძელდებოდა.

●●●

მზე გადაიხარა, გარეთ გამოფენილად დამსვენებლები. ნამდვილ ოაზისს დამსგავსებია კურორტი. უკან ვბრუნდებით და იმ ე.წ. ბონდის, ჩვენთვის კი ბეწვის ხიდზე გავდივართ სიცილ-კანკალით, რომელიც ლაჯანურზე გადაჭიმულა და აკვანივით გვარწევს. აქ კიდევ ერთი გოგირდოვანი წყაროა, ცივი და ანკარა ლაჯანურის პირას. სიტყვა ოაზისიც ვერ დაიტევს ალბათ იმ გრძნობას, რაც იმ წუთებში დაგვეუფლა ლურჯ მთებში ჩაკარგული ლაშიჭალის, მისი მოჩუხჩუხე წყაროების, ანცი ლაჯანურისა და საერთოდ ენით გამოუთქმელი ბუნების ამ სიდიადის გამო.

ბრდღვიალა მზეც ერთხელ კიდევ ეამბორა ორბელის წვერს და ჩაესვენა.

ვემშვიდობებით ლაშიჭალას და ჩაგვესმის იდუმალი ხმა: გაუფრთხილდით ამ სიმდიდრეს, ამ საუნჯეს თვალისჩინივით გაუფრთხილდით.

●●●

ჩვენი მარშრუტი არ შედგებოდა, რომ არა კეთილი ადამიანების თანადგომა. მადლობა ბატონ შალვა ცვარიანს მხარდაჭერისთვის, დახმარებისთვის, ყველაფრისთვის, რასაც ჩვენთვის და ჩვენი გაზეთისთვის იჩენს.

მადლობა ბატონ მევლუდ თოდიძეს გულითადი მეგზურობისთვის,

რედაქცია





# წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

რედაქციაში აღელვებული მოქალაქეები გვესტუმრნენ. მათი ვიზიტის მიზეზი შემდეგი გახლდათ: №1 ბაგა-ბაღის გვერდით მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული საკანალიზაციო გაყვანილობა. ამ მდგომარეობით შეწუხებული გახლავთ არამარტო ამ ბინის მაცხოვრებელნი, არამედ ახლომდებარე მაღაზიების თანამშრომლები, ყველა გამვლელი.

საკითხის გასარკვევად მივმართეთ ცაგერის რაიონის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსს ბატონ ჯონი ყვირილიანს. მან ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ კომუნიკაციათა ვრცელი სიაც წარმოგვიდგინა. მათ შორის: რაისაავადმყოფო, სასტუმრო, სხვადასხვა საცხოვრებელი ბინები და ა.შ.

ბატონმა ჯონიმ დაგვაიმედა, რომ მოთხოვნა თანხაზე აღნიშნულ ტერიტორიაზე რემონტის ჩასატარებლად გაკეთებულია, მას იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში თანხა რეალურად გამოჩნდება, ჩვენ ვიმედოვნებთ ბატონ ჯონის ამ კითხვის მოგვარებაში გვერდით შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელებიც დაუდგებიან, კანალიზაციის დაზიანებული სისტემა სხვადასხვა დაავადების კერებად შეიძლება იქცეს და არც მათი შვილების და ჩვენი მომავალი თაობისათვის იქნება სასარგებლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საამაყო წინაპართა კვალდაკვალ

როცა თვალს ვავლებ ჩვენი კუთხის ღირსეულ შვილთა ნუსხას, სიამაყის გრძნობა გეუფლება. ალბათ ბევრი შემომედავება, სიამაყე არც ისე კარგი თვისებაა ადამიანის ხასიათში. მართალია, ოპონენტს გეთანხმები, მაგრამ ჩემი აზრით, როცა, მურმან ლებანიძისა არ იყოს, „ქალიდან თავის სიგრძე ხელს მიქნევს და მიცინის ლადო“, როცა გიორგი ახვლედიანის, მიხეილ ჩიქოვანის, მირზა გელოვანის, არჩილ გელოვანის, ფილოსოფიის ტიტანის მერაბ მამარდაშვილის და სხვათა და სხვათა პორტრეტები გაიელვებს ჩვენს თვალწინ, ნამდვილად ვამაყობ, რომ ისინი ჩვენი ლეჩხუმიდან მოდიან, ისინი მთელი მათი შემოქმედებით ჩვენში და არამარტო ჩვენში, ნებისმიერი ქართველის გულში მკვიდრობენ. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ რამდენიმე მათგანის შემოქმედებამ დაიპყრო მთელი სამყაროც.

ძვირფასო მკითხველო! ჩვენი სარედაქციო კოლეგია ცდილობს „დავიწყების მტვერი არ მიაყაროს“ ჩვენი კუთხის დიდებულ ადამიანებს, გიორგი ახვლედიანისა და მიხეილ ჩიქოვანის მოღვაწეობის შესახებ გარკვეული ცნობები ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. ახლა კი თქვენი ყურადღება მინდა დიდ ლეჩხუმელზე არჩილ გელოვანზე გადავიტანო.

არჩილ ვიქტორის ძე გელოვანის სახელობის ცაგერის საშუალო სკოლა. ქალაქის ტერიტორიაზე ერთადერთი საშუალო სკოლაა, რომელიც დიდი ლეჩხუმელის სახელს ატარებს. დამეთანხმებით, ჩვენი სკოლის ეს „ტიტული“ ყველამ ზეპირად იცის და სხაპასხუპით ჩამოგირაკრაკებენ კიდევაც, მაგრამ ასევე ბევრი ამ სკოლის კურსდამთავრებულის თუ დღევანდელი მოსწავლის თვალსაწიერი ამ სახელი და გვარის იქით არ მიდის. ეს რეალობაა ჩვენდა საუბედუროდ.

მაგრამ ასევე საბედნიეროდ „ერთადერთი მომავალი გვასულდგმულებს“... ერთ ლამაზ, მშვენიერ, ზაფხულის დღეს სოფელ სპათაგორს სტუმრები ეწვივნენ. სტუმრები კი დიდი ლეჩხუმელის არჩილ ვიქტორის ძე გელოვანის სახელობის საშუალო სკოლის VIა კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი ციცო ნემსიწვერიძე, მასწავლებლები: ნინა ჩაკვეტაძე, მარინა უგრეხელიძე, ამირან ახვლედიანი და სასწავლო ნაწილის გამგე ლალი ჩიქოვანი გახლდნენ. „ტკბილ ლუკმას ბოლოსთვის ინახავენო“—ნათქვამია, სტუმრებს თან ახლდნენ და მეგზურობას, მასპინძლობას (სხვანაირად არც შეიძლებოდა) უწევდნენ ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი პედაგოგი, გელოვანების რძალი—ლამარა დოლიძე და მისი ვაჟი გაგა გაბიანი;

როცა გელოვანების კარ-მიდამოში ფეხი შევდგით ლამარა მასწავლებელი აღფრთოვანებით საუბრობდა, ამ გენიალური გვარის გენიალოგიის შესახებ. როგორც დიდები, ისე პატარები გულდასმით, მონუსხულები ვუსმენდით არჩილ გელოვანის ცხოვრების ისტორიას, რომ არჩილსაც არ ჰქონდა დალხინებული ცხოვრება, რომ იგი ექვსი წლის დაობლდა და მამა ვიქტორი——გარდაიცვალა, აღზრდა კი მთლიანად დედას——ანა შენგელიას დააწვა. იქვე პატარებმა ტოლი არ დაუდეს ლამარა მასწავლებელს და ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პატარა არჩილის სკოლაში შესვლის აღწერით: პატარა არჩილი ძალიან მოსწონებია თბილისის №1 საშუალო სკოლის დირექტორს მიხეილ ზანდუკელს. მას უთქვამს: „ბავშვი უთუოდ ნიჭიერი იქნება, იგი მესამე კლასის პროგრამასაც ადვილად მოერევა“ და მართლაც აჩიკო მესამე კლასში დასვეს. ამას მისი სტუდენტური ცხოვრება მოჰყვა და შემდეგ კი არჩილის დიდი მიღწევები, რომელსაც მისდამი მიძღვნილი ლექსებიც მოწმობენ. ბოლოს მეორე დიდი ბუმბერაზი ლეჩხუმელის ლადო ასათიანის პოეზიით დააბოლავეს ღონისძიება.

მინდა აღვნიშნო, რომ იქ შესულთ თვალში მოგხვდება, გულდასაწყვეტი მოუვლელობა, უყურადღებობა ამ დიდი ადამიანის სახლმუზეუმისა... ქალბატონმა ლამარა დოლიძემ კი გვამცნო, რომ სულ მალე არჩილის შვილიშვილი ვიქტორ გელოვანი ესტუმრება მამაპაპისეულ სახლს და დაიწყებს სახლ-მუზეუმის რესტავრაციას.

...ბინდდებოდა, როცა უაღრესად კმაყოფილნი, ნასიამოვნები, იშვიათი შთაბეჭდილებებით, მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი „დაწნეხილი მასალით“ აღტაცებულნი მივუახლოვდით „ორბელის უღელტეხილს“. იქედან კი განათებული ცაგერი, რომელსაც ცხენისწყალი აკრავს, როგორც ვერცხლის ქამარი, „უფრო ლამაზი“ მოჩანდა.

ჩვენი რედაქცია ამზადებს ვრცელ მასალას გელოვანების შესახებ, რომელსაც უახლოეს მომავალში შემოგთავაზებთ.

ეკატერინე ბენდელიანი.

# თქვით სიმართლე!

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს ჩვენი რედაქციის კარი რამდენიმე აღელვებულმა პიროვნებამ შემოაღო, სწორედ „შენთან მოვედითო“ გამიმხილეს და მათთვის მოსასმენად განვეწყვე. საუბრის დასაწყისიდანვე შევნიშნე, ხელში „ახალი ლეჩხუმის“ აპრილის ნომერი ეჭირათ.

თავიდანვე დავაკმაყოფილებ ცნობისმოყვარეთა „ამბიციებს“—ყველა მათგანმა ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა და მეც ანონიმურობის გარანტია მივეცი.

მოკლედ, საქმე ეხება ლეჩხუმის „აქილევსის ქუსლს“—ტრანსპორტს. ჩემი რესპონდენტები ერთმანეთს საუბარში ეცილებიან და ემოციურად ჰყვებიან თუ როგორ იმგზავრეს ქუთაისი-ცაგერის სამგზავრო (თუ სატვირთო?) ავტობუსით ცალ ფეხზე შემდგარმა და ფქვილ-აზოტ მოყრილი ტანსაცმელიც ჩემს თვალწინ ჩამოიბერტყეს. შემდეგ ჩვენი გაზეთიც ცხვირწინ ამიფრიალეს და ჩემს გამოქვეყნებულ წერილზე მომთხოვეს პასუხი——(ამონაწერი „ახალი ლეჩხუმის“ აპრილის №10(4) ფურცლებიდან)——„ავტოტრანსპორტის მესვეურთა მიერ დაპირებული ვადაც მალე ამოიწურება. 1 მაისიდან სიახლეები გვექნება, თქვენ ოღონდ სწორი არჩევანი გააკეთეთ: 3 ლარი პლიუს მოძველებული ავტობუსი და ოთხი ლარი პლუს კომფორტული მიკროსამარშრუტო ტრანსპორტი“. აქ კითხვა შეწყვიტეს, ჩემი ნააზრევი ჩაამთავრეს და პასუხი მომთხოვეს ტყუილი ინფორმაციის გამო, „სად არის სიახლეებიო“, თუმც ციტატაში შავით თეთრზე მეწერა——„ავტოტრანსპორტის“ მესვეურთა მიერ დაპირებული ვადაც მალე ამოიწურება-თქო“. (ისე აღმოჩენა გავაკეთე——სიახლე არის აბა არ არის? აქამდე მხოლოდ ფქვილის ტომრებთან გვიწევდა მგზავრობა, ზაფხულიც მოვიდა და ტომრების სიმცირე აზოტმა შეავსო).(?!).

საქმე იმაშია, რომ შეცდომაში შემიყვანეს——5 აპრილს ჩატარებული ტენდერის მესვეურებიდან დაწყებული ადგილობრივი შ.პ.ს. „ავტოსატრანსპორტის“ წარმომადგენლებით დამთავრებული.

არავინ იცის რა მოხდა. კიდევ ერთხელ შევეცდები გავერკვე და მორიგი წერილის გამოქვეყნებას დავპირდი მათ. ერთ-ერთმა მათგანმა გასვლისას მორიდებული და ფრთიანი ფრაზა დამიტოვა „სამახსოვროდ“——„წერე და იკითხეო!“

არ მიმიღია შეურაცხჰყოფად ზემოთ ხსენებული ფრაზა. არც მწყენია. მე დავწერ. დავწერ ასობით მგზავრისა და საკუთარი სინდისის წინაშე რომ ვიყო მართალი, მაგრამ ნეტავ ვინც დაწერილი უნდა „იკითხოთ“ სულ არ გადარდებთ ეს გადაუჭრელი პრობლემა? რა ხდება, ვისი ინტერესები უფრო მაღლა დგას——მისი უდიდებულესობა ხალხის თუ... არც კი ვიცი ვინ იმალება ამ მრავალწერტილის უკან, თავად ხომ იცნობენ ადრესატები საკუთარ თავებსა და ტყავებს.

P. S. მიუხედავად იმისა, რომ არაერთგზის ვცადეთ კონტაქტზე გავსულიყავით მავანთან და მავანთან, არ გამოგვივიდა. ვერ გავიგეთ——ბოლოს და ბოლოს რატომ არ ინიშნება სამარშრუტო ტაქსები;

ავტოტრანსპორტის მესვეურნო! მობრძანდით ჩვენთან, მიბრძანდით ხალხთან. თქვით სიმართლე (თუნდაც მწარე) სანამ ურემი ამოყირავდა.

მარინა სვანიძე.

# „მე სიკვდილმა დაბადებამდე მომიტაცა“

სულის უკვდავების შესახებ არაერთხელ გვისაუბრია ჩვენი გაზეთის მეშვეობით. სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ყოველწლიურად მილიონობით ბავშვი იღუპება მსოფლიოში. ეს პრობლემა საქართველოშიც კულმინაციას აღწევს. ბევრმა ჩვენგანმა ალბათ არ იცის, რომ ბავშვის სხეულს დედის საშოში ჩასახვისთანავე გააჩნია უკვდავი სული და არ არსებობს მიზეზი, რომელიც გაამართლებს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის მკვლელობას.

ძვირფასო მკითხველო! გთავაზობთ არქიმანდრიტ რაფაელის ქადაგებას აბორტის შესახებ, დასკვნა კი თავად გამოიტანეთ. მე კი მხოლოდ ერთს შეგახსენებთ: დაუბადებელი ბავშვის მკვლელობა ცოდვათაშორის ერთ-ერთი უსაშინლესია!

„მე ვარ ადამიანი, რომელსაც წაართვეს ადამიანის სახელი. მე ვარ ბავშვი, რომელსაც არ ჰყავს მშობლები. ვერ მოვასწარი ამქვეყნად გაჩენა, მე სიკვდილმა დაბადებამდე მომიტაცა. სიბნელიდან ისე გადავინაცვლე წყვდიადში, რომ სინათლეც კი არ მიხილავს. და მაინც მე შენ, მოგმართავ სიტყვით—„დედა“, შენ რომელიც მატარებდი შენს წიაღში მყოფს, ხოლო შემდეგ კი სიკვდილის გაყინულ ხელებზე მომაგდე, თითქოს მდინარეზე გადასვლისას შუა წყალში მომისროლე.

მე მინდა გითხრა, რომ მიყვარდი ჯერ კიდევ ჩემს დაბადებამდე, რომელიც ჩემთვის სიკვდილად იქცა. იმ წუთს, როცა რკინის კლანჭები მოუახლოვდნენ ჩემს სხეულს, უხმოდ მეძახდი: დედა, მიშველე! ხოლო როცა ისინი ურჩხულს ეშვებივით ჩაესვნენ ჩემს სხეულში, მაშინ ავყვირდი: დედიკო, ნუ მომკლავ, დედიკო შემიბრალე! მაგრამ, ამაოდ—შენი საშო ჩემთვის სასაკლაოდ იქცა.

დედა! რატომ მომკალი, რისთვის წამართვი სიცოცხლე! ალბათ, არ იცი, როგორ მიყვარდი, როცა მე და შენ ჯერ კიდევ ერთი სხეული ვიყავით. როგორ მინდოდა მოგხვეოდი ყელზე, მაგრამ ხელები ჯალათმა მომკვეთა. მინდოდა მიგკროდი მკერდზე ჩემი გულით, მაგრამ იგი რკინამ განგმირა. როგორ მინდოდა შენი ხელებით გეტარებინე, მაგრამ შენ საუკუნო წყვდიადისთვის გამიმეტე. ჩვილებს აკვანში აწვევდნენ, ჩემი აკუწული სისხლით გაჟღენთილ დოლბანდებთან და მყრალ ნარჩენებთან ერთად. არავინ ტიროდა ჩემს გვამზე, არავინ ჩაასვენა იგი ციცქნა კუბოში. ჩემი სამარე ვირთხების კბილებში ვპოვე, რომლებიც ნაგვის ხროვაზე დაწანწალებენ. დედა ლოცვებს კითხულობს მძინარე შვილის სასთუმალთან, მე კი ვინ მიპოვის აქ და ვინ მომეფერება? მე დედის ხსენებისაც კი მეშინია და ჟრუანტელი მივლის, როცა ის მარწუხები მაგონდება, რომლებიც ჩემს სხეულს გლეჯდნენ. მაშინ შენი თბილი წიაღი ჩემთვის გველის ცივ სხეულად იქცა.

არსებობს ორი წმიდათწმიდა სიტყვა—ღმერთი და დედა. უფალმა არ მიმატოვა თავისი მოწყალების გამო, მაგრამ ჩემი თვალები, ნათლისღებით განუბანელნი, ვერ ხედავენ მას. მეორე წმინდა სიტყვა „დედა“ კი მე დავკარგე—შენთვის ზედმეტი აღმოჩნდა ჩემი სიყვარული. ბავშვი განსაცდელში დედას მოუხმობს. სანამ დედა ცოცხალია, ადამიანი არ არის ეული, არ არის მარტოდ დაშთენილი. მან იცის, რომ დედის გული არ შეაქცევს მას ზურგს, თუნდაც მთელი მსოფლიო აღდგეს მის წინააღმდეგ. იცის, რომ დედა ყოველთვის გაათბობს მას თავისი სიყვარულით.

მე კი ობოლი ვარ ცოცხალი დედის მყოლი. მან საუკუნო ბნელეთისათვის ისე გამიმეტა, რომ ერთხელაც არ ჩაუხედავს ჩემთვის სახეში. მან, ყოველგვარი ბრალის გარეშე გამასამართლა და გამომიტანა სასიკვდილო განაჩენი. მაგრამ ის ჩემზე უბედურია: როცა მკვლელის მახვილი ასო-ასო ანაწევრებდა ჩემს სხეულს, მაშინ მან მოაკვდინა ჩემი დედის გულიც—საბრალომ არც კი იცის, რომ გული აღარ გააჩნია.

შენ არა მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრება წამართვი, არამედ ეკლესიასაც განმაშორე. მე მის ზღუდესთან ვიმყოფები, ვხედავ ნათელს, რომელიც იქიდან გამოსჭვივის, მაგრამ არ შემიძლია შევიდე შიგ და ვეზიარო ამ ნათლის ბრწყინვალებას. ასე რომ, დედა, შენ არა მხოლოდ ჩემი სხეული მოკალი, არამედ სულიც.

გახსოვდეს, დედა, რომ უმანკო სისხლის დათხევით ქრისტეს მსჯავრი მეორდება. იუდამ უდანაშაულო სული 30 ვერცხლად გაყიდა, შენ კი იმიტომ გამყიდე, რომ თავისუფლად ყოფნის უფლება მოგეპოვებინა, საფასურიც თვითონვე გადაუხადე ჩემს ჯალათებს—შენ იუდასავით მოიქეცი. კაიაფამ განსაჯა უდანაშაულო და თქვა, რომ უმჯობესია, ერთი კაცი მოკვდეს, ვიდრე მთელი ერი. შენ კი განსაჯე, რომ ოჯახის საკეთილდღეოდ უმჯობესია, მოკვდეს უდანაშაულო ბავშვი—თითქოს მე შენი შვილი არ ვყოფილიყავი. ქრისტე ჯვარს აცვეს, და შენც მომისაჯე მე ჯვარცმა.

თუმცა ვერ ვხედავ პირსა ღვთისასა, მაგრამ ვიცი, რომ მას ყველას გადარჩენა სურს. შენ არ ისმინე მაშინ ჩემი სიტყვები, როცა შეძრწუნებული გევედრებოდი შენს საშოში: „დედა, შემიბრალე“, ახლა მაინც ისმინე ჩემი. დედა, შეიბრალე თავი შენი, შეიწყალე შენი სული, განბანე იგი სინანულის ცრემლებით. ხოლო თუ გეყოლება შვილი, მიეცი მას ის სიყვარული, რომელიც ჩემთვის უნდა მოგეცა. მან მაინც შეიგრძნოს შენი ხელების სითბო, ესმოდეს შენი ლოცვის ხმა.

განანთლე იგი წმიდა ნათლისღებით, რომ ამ ქვეყანაში ჩემსავით ბრმა არ შემოვიდეს, და თუკი ის ჩვილი გარდაიცვლება—თავის კუბოზე მაინც გაიგონოს ეკლესიის ღაღადისი, ცაში კი ანგელოსთა გალობა. მიეცი მას ის, რაც მე მომაკელი“.

ეკატერინე ბენდელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხადდება კომერციული კონკურსი

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**
**საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია**
**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ**

| № | ობიექტის დასახელება | ექსპლო. შესვლის წელი | ობიექტის საწყ. გასაყიდი ფასი (აშშ) | ობიექტის მიერ დაკ. მიწის ფართი (მ²) | მიწის გასაყ. ფასი (ლარი) | დებიტორუ-ლი დავალიანება (ლარი) | კრედიტო-რული დავალიანება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შპს „ცაგერის მანქანატრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმო“ | | 9248,0 | 6400 | 9216 | 8535 | 5551 |
| 2 | შპს №16 საგზაო სამმართველო 75 პროცენტიანი ფასდაკლებით | | 99623,8 | 8500 | 12240 | 40932,9 | 37635,6 |
| 1 | შპს „ცაგერის საგზაო სამმართველო“ | | 5266,6 | 6000 | 2204 | 1174 | 906 |
| 2 | მცირე ჰესი „ორბელჰესი“ | 1951 | 5876,8 | 4900 | 1764 | — | — |
| 3 | ცაგერის ასფალტო-ბეტონის ქარხანა | 1984 | 2295 | 6500 | 2340 | — | — |
| 4 | ცაგერის გაზის მეურნეობა | 1970 | 1596,5 | 2700 | 1944 | — | — |

საკონკურსო პირობები:

1. „მყიდველის“ მიერ ობიექტის საბოლოო ფასის 51 პროცენტის დაფარვა ერთი თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი 49 პროცენტი ერთი წლის განმავლობაში თანაბარპროპორციულად კვარტალების მიხედვით.
2. სარემონტო სამუშაოების ჩატარება და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.
3. ეკოლოგიური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების დაცვა.
4. საკუთრების უფლების გაცემის, სანიტარო დამოწმებისა და აუცილებელი სამუშაოების წარმოდგენის ხარჯებს იხდის „მყიდველი“.
5. ყოველ ექვს თვეში საკონკურსო პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.

საპრივატიზებო თანხების დაფარვა იწარმოებს სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონული განყოფილების №000609602 ანგარიშზე ცაგერის აგრომრეწვბანკში გადახდის მომენტისათვის აშშ დოლარის ეკვივალენტური კურსით ლარებში.

განმცხადებელი განცხადებასთან ერთად განყოფილებას წარუდგენს „ბე“-ს ობიექტის ღირებულების მინიმუმ 10 პროცენტის გადახდის ქვითარს, რაც გათვალისწინებულ იქნება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

კონკურსში მონაწილეთა განცხადებები მიიღება ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო ამის შემდეგ პირველსავე სამუშაო დღის სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონულ განყოფილებაში გაიმართება საკონკურსო კომისიის სხდომა.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №64
ტელ. 20-66.

**სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონული განყოფილება**

## ფოსტა

მინდა ერთი პატარა, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ დღევანდელ შეჭირვებულ ყოფაში „უჩვეულო“ ისტორია გიამბოთ.

რამდენიმე ათეული წელიწადია ქალაქის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში ვმუშაობ მედდად. წლების მანძილზე სხვის ჯანმრთელობაზე მზრუნველს ჩემმა ჯანმრთელობამ მიმტყუნა და ონკოლოგიური ავადმყოფობა დამიდგინეს. საჭირო გახდა სასწრაფო ოპერაცია, მკურნალობა, წამლები, მოგეხსენებათ, რომ ამას ყველაფერს ფინანსური ძალაც სჭირდება.

სრულიად უიმედომ განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცაგერის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მერაბ ახვლედიან მივმართე, რომელმაც გულთან მიიტანა ჩემი გასაჭირი და საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ქალბატონი მანანა კობახიძის დახმარებით გარკვეული რაოდენობის თანხაც გამომიყვეს. შეიძლება ეს თანხა წამლის დღევანდელ ფასებთან შეფარდებით მიზერულია, მაგრამ ეს იყო ჩემთვის უდიდესი დახმარების ტოლფასი.

მინდა, გაზეთი „ახალი ლეჩხუმის“ საშუალებით მადლობა ვუთხრა ბატონ მერაბ ახვლედიანს, რათა მან გულთან მიიტანა ჩემი გასაჭირი.

პატივისცემით ნაზი კობერიძე.

## მილოცავთ

**ლელა ყურაშვილს!**
**ეთერ ბაბლუანს!**
გილოცავთ ღირსების ორდენით დაჯილდოებას, გისურვებთ წარმატებებს.
**გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია.**

❖❖❖

**ნათელა ხეცურიანს!**
**ალუდა ზურაბიანს!**
**ზაურ ახვლედიანს!**
გილოცავთ ღირსების მედლით დაჯილდოებას. გისურვებთ მორიგ დიდ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.
**გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია**

❖❖❖

**ზურიკო სვანიძეს**
გილოცავთ დაბადების დღეს იდღეგრძელე მრავალჟამიერ
**გვანცა და გიორგი**

❖❖❖

**ონისე ჩაკვეტაძეს!**
გილოცავთ დაბადების დღეს გაიზარდე სასახელო ბიჭი.
**ნონა, ეკა, ხათუნა, დარეჯან ბენდელიანები.**

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს კარლო კოპალიანს, ლალი ჩიქოვანს, მაყვალა ახვლედიანს, მარიკა კოპალიანს
ვახტანგ კოპალიანის
გარდაცვალების გამო.

ცაგერის პარლამენტის დეპუტატის ბიუროს თანამშრომლები თანაუგრძნობენ კარგო კოპალიანს, ლალი ჩიქოვანს, მაყვალა ახვლედიანს, მარიკა კოპალიანს
ვახტანგ კოპალიანის
გარდაცვალების გამო.

## ხსოვნა

### ზურაბ გიორგის ძე ახვლედიანი



ჩვენო საყვარელო ზურაბ!

ორი წელი იწურება, რაც იმიერ ქვეყანაში გადასახლდი.

ალბათ გვხედავ სულთა სამყაროდან, როგორ გვიჭირს და გვიმძიმს უშენობა, მაგრამ მწარე სინამდვილეს ვერსად გაექცევი. ღრმა მწუხარების მკურნალი დრო არ ყოფილა. გვიჭირს აუღელვებლად ლაპარაკი შენზე წარსულში. შენი სითბო და სიყვარული თან გვდევს შენი ოჯახის წევრებს.

ჩვენო ზურიკო, შენ არა მარტო შენს ოჯახს დააკლდი, არამედ სანათესაოს, გვარს, კუთხეს და მთელ საქართველოს. შენ ხომ ერის გამორჩეული და საამაყო შვილი იყავი. უფალმა სიცოცხლის გარდა ყველაფრით უშურველად დაგაჯილდოვა: გარეგნობით, ნიჭიერებით და სულიერებით. იმის გაფიქრებაც კი გვზარავს, რომ აღარასოდეს დაგვიბრუნდები. რადგან სიცოცხლე ხსოვნით იზომება, მარად დარჩები ჩვენს გულებში. შენს სახელს დავიწყება არ უწერია. უფალს ვთხოვ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

**ძმა რეზო, რძალი ნანი, ძმიშვილები მამუკა და სულხან ახვლედიანები.**

### ზურაბ სილაგაძის ხსოვნას!



26 ივლისს—29 წელი შეგისრულდება ზურიკო! პირველი ზაფხულია, როცა უშენოდ „ვზეიმობთ“ შენს დაბადების დღეს, შენ კი ამ დღეს მარადიულ სასუფეველში ხვდები. ძნელია შენზე ილაპარაკო, შენ ხომ სიკეთითა და სიყვარულით სავსე იყავი. საოცარი და განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა შენთან ოჯახის ყველა წევრს, ასევე უცნაურად წადი ამქვეყნიდან და დაგვიტოვე უდიდესი ტკივილი, მაგრამ ტკივილითან ერთად დიდი სიხარულიც გვეწვია. შენი გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ შენი შვილი გვაჩუქა ღმერთმა, დაბადებისთანავე „გამოგვეხმაურა“ შენი გიორგი, რომლის დაბადებას დიდი სიხარულით ელოდი. მადლობა უფალს, რომ გიორგი ისევ შენთან გვაკავშირებს, შენს სახეს გვახსენებს.

გილოცავთ ჩვენო ზურიკო დაბადების დღეს! მე კი სვეგამწარებული შენი დედა—შაოსან დედათა ამალას შევუერთდი, რომელიც ილოცებს შენზე, რომ მარადიულ სასუფეველში უჭვრიტო იმ მშვენიერებას, რომლის წინაშე სილამაზე ფერმკრთალდება.

**შენი ოჯახი.**

ცაგერის რაიონის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს სევერიან მუშკუდიანის ოჯახს
ოლია ჩიქოვანი-მუშკუდიანის
გარდაცვალების გამო

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია თანაუგრძნობს კარლო მუშკუდიანს დედის
ოლია ჩიქოვანი-მუშკუდიანის
გარდაცვალების გამო

შიო, ლევან, მამუკა ახვლედიანები იუწყებიან რომ გარდაიცვალა
ოლია ჩიქოვანი-მუშკუდიანი
და თანაუგრძნობენ უახლოეს ჭირისუფალს

ჯონი ყვირილიანი ოჯახით თანაუგრძნობს სევერიან მუშკუდიანის ოჯახს
ოლია ჩიქოვანი-მუშკუდიანის
გარდაცვალების გამო

რომეო მანდარია ოჯახით თანაუგრძნობს უახლოეს ჭირისუფალს
ოლია ჩიქოვანი-მუშკუდიანის
გარდაცვალების გამო

ლონდა ლეშკაშელი, აზა და ზაზა დავითულიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ავდიდ გრიგოლის ძე ლეშკაშელი
და სამძიმარს უცხადებენ ჭირისუფალს

**რედაქცია პასუხს არ აგებს შემოსულ წერილებზე**

რედაქტორი
თამარ
დავითულიანი

პასუხისმგებელი
მდივანი
მზევინარ
ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ეკა ბენდელიანი.

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის
№47. ტელ: 22-86

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტამბაში“

ქ. ქუთაისი. ი. ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ:7-07-80, 7-34-99